ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 422) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №01-08/26

ქ. ბათუმი 2013 წლის 27 აგვისტო,

სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ იმ აბიტურიენტთა რეგისტრაციის წესისა და ვადების განსაზღვრის შესახებ, რომლებმაც გაიარეს 2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, აკადემიური საჭოს 2013 წლის 20 ივნისის 63-ე დადგენილების, „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის 19/ნ ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2013 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ ჩარიცხვის უფლების მქონე აბიტურიენტთა აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაცია განხორციელდეს მიმდინარე წლის 5 სექტემბრიდან 13 სექტემბრის ჩათვლით;

2. აბიტურიენტთა მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის (სწავლის საფასურის გადახდა ბსუ–ს მომსახურე საბანკო დაწესებულებაში) გავლის შემდეგ აკადემიური რეგისტრაცია განხორციელდეს საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით შემდეგ მისამართებზე:

- **მშენებლობა, ტელეკომუნიკაცია, ტრანსპორტი, სამთო და გეო-ინჟინერია, არქიტექტურა -**
  ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12, ოთახი №5;
- **აგრონომია, სასურსათო ტექნოლოგია, სატყეო საქმე, აგროეკოლოგია, აგროინჟინერია -**
  ქ. ბათუმი, მწვანე კონცხი, ოთახი №307;
- **ბიოლოგია, ეკოლოგია, გეოგრაფია, ქიმია, მედიცინა, სტომატოლოგია -**
  ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32, ოთახი №219;

- **ქართული ფილოლოგია, ისტორია, ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია, რუსული ფილოლოგია, თურქული ფილოლოგია, თარგმანმცოდნეობა, ფილოსოფია, თურქეთისმცოდნეობა -**
  ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32, ოთახი №221;
- **სამართალმცოდნეობა, ფინანსები, მენეჯმენტი, ეკონომიკა, საბუღალტრო და საგადასახადო საქმე, მარკეტინგი, ევროპისმცოდნეობა, ფსიქოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები -**
  ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32, ოთახი №524;
- **მათემატიკა, ფინანსური მათემატიკა, ფიზიკა ასტრონომიით, კომპიუტინგი -**
  ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32, ოთახი №228;
- **დაწყებითი განათლება -**
  ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32, ოთახი №228;
- **ტურიზმი -**
  ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №32, ოთახი №121.

3. რეგისტრაციისათვის აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუ-მენტები:

ა) პირადობის მოწმობის ასლი;

ბ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისათვის);

გ) ზოგადი განათლების დამადასტურებელი მოწმობა (ატესტატი);

დ) ფოტოსურათი 3 ცალი (3x4), ასევე სურათის ელექტრონული ვერსია;

4. ბსუ–ში აბიტურიენტთა ჩარიცხვის შესახებ ბრძანება გამოიცეს აბიტურიენტთა რეგისტრაციის შედეგების მიხედვით;

5. ბრძანება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, ასევე საჯარო გაცნობის მიზნით განთავსდეს ბსუ–ს საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ვებ-გვერდზე;

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**